



MES 8 22 0000716410



27/06/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 13 ივნისს 14:00 საათზე.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89709469453?pwd=dIBOb3lxcjlSdE10a0grQTlMWTBtZz09>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე;
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ევროპული ენების ინსტიტუტი

ნინო აბრალავა - დირექტორი,
ქეთევან ჯანელიძე - კონსულტანტი

შპს პირველი ფიტნეს აკადემია

ვალიტა გორელჩანიკი - დირექტორი

შპს პეა

ნიცა მდივანი - დირექტორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

ნანა შათირიშვილი,
ვალერი გულბანი,
თამარ ციციშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:06 საათზე.

საბჭოს არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრების უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ნიკოლოზ მესხიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ევროპული ენების ინსტიტუტისთვის „სასტუმრო საქმის მწარმოებელი“ /01307/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს პირველი ფიტნეს აკადემიისათვის „ფიტნეს ინსტრუქტორი“ /01315/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს პეასთვის „სოციალური მედია-კომუნიკაციის ტექნოლოგიები“ /01375/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

1. შპს ევროპული ენების ინსტიტუტისთვის „სასტუმრო საქმის მწარმოებელი“ /01307/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლანა გაჩეჩილაძე და აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 21 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 90.

აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემულ ვადაში ორგანიზაციამ წარმოადგინა დამატებით პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით პრაქტიკის ჩატარება შესაძლებელია არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ საქართველოში. აღნიშნეს, რომ გასაუბრებები დამატებით პარტნიორ ორგანიზაციებთან განხორციელდა დისტანციურად და მათი მზაობა დადასტურდა. აქვე აღნიშნა, რომ ხარვეზი და რეკომენდაციები არ გაცემულა.

მსმენელები პირველ ეტაპზე, 8 კვირის განმავლობაში გაივლიან თეორიულ სწავლებას ორგანიზაციის ბაზაზე, შემდგომი 12 კვირა კი გათვალისწინებულია სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლება გერმანიაში ან საქართველოში.

პრეზენტაციის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ ორგანიზაციის წარმომადგენლებს სთხოვა პოზიციის დაფიქსირება. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მადლობა გადაიხადეს წინა სხდომაზე გაცემული რეკომენდაციის გამო, რამაც მათ დაანახა აღნიშნული საკითხისადმი სხვა რაკურსით შეხედვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ გამოხატა თავისი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივ მოსახლეობასაც მიეცემოდა შესაძლებლობა უცხოეთში გაევლოთ მსმენელებს პრაქტიკული კომპონენტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული ენების ინსტიტუტისთვის „სასტუმრო საქმის მწარმოებელი“ /01307/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების

მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს ევროპული ენების ინსტიტუტს (ს/კ 204992730) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა „სასტუმრო საქმის მწარმოებელი“ /01307/ (დანართი).

2. შპს პირველი ფიტნეს აკადემიისათვის „ფიტნეს ასისტენტი“ /01315/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა საბჭოს მიერ მიცემული ხარვეზის გამოსწორების ვადაში. პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდებაა „ფიტნესის ასისტენტი“, ასევე შეიცვალა პროგრამის ხანგრძლივობა. აღნიშნული პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა -14 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30.

განმეორებითი შეფასებისას გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

1.3 ქვესტანდარტი - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუმცა არ არის შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. აღნიშნული ხარვეზი განაპირობა პროგრამის სახელის ცვლილებამ, პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს ფიტნეს ასისტენტად და არა ფიტნეს ინსტრუქტორად. დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ელექტრონულ სისტემაში პროგრამის ცვლილებისას ტექნიკურად გამორჩენილია პროგრამის მიზნის ველის რედაქტირება, რამაც გამოიწვია შინაარსობრივი ხარვეზი.

აღნიშნეს, რომ წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია:

1.1 ქვესტანდარტი : რეკომენდირებულია, ორგანიზაციამ პროგრამის საჭიროების უკეთესად დასაბუთების მიზნით გამოიკვლიოს კონკრეტული სამიზნე ჯგუფები დამსაქმებლებსა და მოსახლეობას შორის, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები თუ რა კომპეტენციების მქონე კადრების დეფიციტია შრომის ბაზარზე და კონკრეტული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაუმჯობესდეს პროგრამა. წარმოდგენილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, კერძოდ წერილები შესაბამისი პროფილის კლინიკებიდან.

1.7 ქვესტანდარტი: რეკომენდირებულია, პროგრამის ხანგრძლივობა იყოს 150 საათი და აქედან 60% მაინც პრაქტიკული ნაწილი, რაც უნდა ჩანდეს პროგრამის აღწერაში. აღინიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა გაიზარდა და რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

1.9 ქვესტანდარტი: რეკომენდირებულია საერთაშორისო პარტნიორის (აქტიური ევროპა) ჩართულობა საქართველოში არსებული წარმომადგენლობის დახმარებით (აქტიური საქართველო), რაც შესაძლებელია ამ ეტაპზე დადასტურდეს გაფორმებული მემორანდუმის სახით. ეს პარტნიორობა გაზრდის პროგრამის ავტორიტეტს და კურსდამთავრებულებს მისცემს საშუალებას სურვილის შემთხვევაში, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული შესაბამისი სერტიფიკატები. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და თანამშრომლობა შედგა, რის საფუძველზეც განახლდა პროგრამა.

1.8. ქვესტანდარტი: რეკომენდირებულია, უფრო ხშირად იქნას გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოები სწავლებისას. ეს გააუმჯობესებს მსმენელთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ასევე, სასურველია დაემატოს სწავლების მეთოდებს ქეისების განხილვა (case study) და კეთებით

სწავლის მეთოდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მეთოდის გამოყენება პრაქტიკის სწავლების დროს C გარემოში. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია განახლებული პროგრამის შედგენის დროს.

პრეზენტაციის წარმოდგენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ თხოვა ორგანიზაციის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კუპერის ტესტი უკვე შემუშავებული ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ 1.2 ქვესტანდარტის ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო ამ ხარვეზის გამოსწორებულად ჩათვლა. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ტექნიკური სახის უზუსტობა ბოლოს წარმოდგენილ პროგრამაში მხოლოდ მიზანთან მიმართებით ფიქსირდებოდა, ხოლო ის რეკომენდაციები, რაც წინა დასკვნაში იყო დაფიქსირებული, უკვე გათვალისწინებულია.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ იყო შესაძლებელი შესწორებული დოკუმენტის მატერიალურად წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ ორგანიზაციას მიმართა გაეზიარებინათ ნებისმიერი ინფორმაცია, არსებობის შემთხვევაში, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლანა გაჩეჩილაძემ უკვე დეტალურად ისაუბრა იმ საკითგებზე, რისი თქმაც თავადაც სურდა ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა და დასძინა, რომ ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსაც გაითვალისწინებდნენ.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს, ვალერი გულბანს სთხოვა, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, კომენტარის გაკეთება. სხდომის თავმჯდომარის კითხვა გულისხმობდა, თუ რამდენად სრულყოფილია პროგრამა დარგის სპეციალისტის გადმოსახედიდან. მან იმედი გამოთქვა რომ პროგრამა განხორციელების უფლებას მოიპოვებს, რადგან იგი იზიარებს იმ პათოსს, რომ ამ ტიპის პროგრამას ძალიან დიდი ცვლილება შეუძლია შეიტანოს სამომავლოდ. მისი სურვილია, რომ კიდევ უფრო მეტი ორგანიზაციის მხრიდან შემოვიდეს მსგავს პროგრამებზე განაცხადი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, რათა მოსახლეობამ შეძლოს ხარისხიანი კონსულტაციებისა და ცოდნის მიღება დარგის შესაბამისად. მან ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ მიწოდებული დარგის შესაბამისი რეკომენდაციების გამოსწორება მოხდა ორგანიზაციის მხრიდან. ამასთან დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბოლოო შედეგის მიღება მართალია დროშიც გაიწელება, მაგრამ იმედი აქვს, რომ პროგრამა მსმენელების მიღებას მალე დაიწყებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პირველი ფიტნეს აკადემიისთვის „ფიტნეს ასისტენტი“ /01315/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს პირველ ფიტნეს აკადემიას (ს/კ: 405421770) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფიტნეს ასისტენტი /01315/ (დანართი).

3. შპს პეასთვის „სოციალური მედია-კომუნიკაციის ტექნოლოგიები“ /01375/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლანა გაჩეჩილაძემ და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 14 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 75 (მსმენელების მიღება განხორციელდება სამ ჯგუფად, რადგან თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი ერთი აუდიტორია აღჭურვილია 25 მსმენელზე შესაბამისად, ერთ ჯგუფში შესაძლებელი იქნება 25 მსმენელის მომსახურება).

ორგანიზაციაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა. პრეზენტაციის შემდეგ, ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაში სწავლის შედეგები გააზრებულად აქვთ წარმოდგენილი, რომელიც მთელ პროგრამას გასდევს. მთლიანობაში სტრატეგიული დოკუმენტი თანდათან სწავლების პროცესში ვითარდება.

შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა თამარ ცქიტიშვილმა. მან აღნიშნა რომ ორგანიზაციამ მათ ყველა კითხვას ამომწურავად უპასუხა და ისინი ფლობენ შესაბამის კომპეტენციას აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის.

კომენტარი გააკეთა ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ნატო ბელქანიამ, რომელიც მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებაში. მან აღნიშნა, რომ პროგრამა იმგვარად იქნა შექმნილი და იმგვარად ადაპტირებული, რომ მსმენელს შეძლებოდა სტრატეგიული დოკუმენტის შედგენა. მან დასძინა, რომ საკითხების მიწოდების და დოკუმენტის გაცნობის პროცესი ეტაპობრივია. ცამეტი კვირის განმავლობაში სწავლებასთან ერთად ხდება პრაქტიკული დავალებების მიწოდება, რომლებზეც უკუკავშირს იღებენ მსმენელები. სწორედ სტრატეგიული დოკუმენტის შექმნაა წარმოდგენილი პროგრამის ბოლოს შესასრულებელი დავალება.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, რაც მდგომარეობდა შემდეგში, მეთოთხმეტე კვირას განმახორციელებლეს სტრატეგიულ დოკუმენტის შეფასების შემდეგ ექნებოდათ თუ არა კომუნიკაცია მსმენელებთან და გათვალისწინებული იყო თუ არა უკუკავშირი.

აღნიშნული დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენელმა. შემდეგ, შპს პეას დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეასტვის (ს/კ:405479101) „სოციალური მედია-კომუნიკაციის ტექნოლოგიები“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7


წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს პეას (ს/კ: 405479101) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სოციალური მედია-კომუნიკაციების ტექნოლოგიები /01375/ (დანართი).

საბჭოს სხდომა დასრულდა 14:52 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მესხიშვილი ნიკოლოზ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01307	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	21	ქართული	90	ქ. თბილისი, ფერაძის ქ. №30 ვ

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01315	ფიტნეს ასისტენტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	14	ქართული	30	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №16

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01375	სოციალური მედია-კომუნიკაციების ტექნოლოგიები	პროფესიული მომზადება	მეხუთე	14	ქართული	75	ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის №115 ბ